



სსფ-ს მისიამ საქართველოს პროგრამის ვირტუალური მიმოხილვა დაასრულა გავრცელდეს დაუყოვნებლივ

მისიის დასასრულს გამოქვეყნებული პრესრელიზი წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიის წევრთა განაცხადს მათი წინასწარი მიგნებების შესახებ. ეს განაცხადი ეკუთვნის მისიის წევრებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს აზრს. ამ მისიის მიგნებების საფუძველზე შედგენილი ანგარიში, ხელმძღვანელთა თანხმობის შემთხვევაში, სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს წარედგინება განხილვისა და გადაწყვეტილებისთვის.

- საქართველოს ხელისუფლებამ და სსფ-ს მისიამ მიაღწიეს შეთანხმებას გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით მხარდაჭერილი პროგრამის მეშვიდე მიმოხილვის დასრულებაზე.
- სსფ-ს მისია 2021 წელს პანდემიის გავლენის შემცირებასთან ერთად საქართველოს ეკონომიკის 4.3 პროცენტთან ზრდას ელის, თუმცა მნიშვნელოვანი დადამავალი რისკები კვლავაც ნარჩუნდება.
- საქართველოს ხელისუფლების დროულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ნაბიჯებმა შეაკავა პანდემიის ეკონომიკური და სოციალური გავლენა. სტრუქტურული რეფორმების განხორციელება კვლავაც მნიშვნელოვანია პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად.

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 2020 წლის 10 ნოემბერი: ამა წლის 5 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ ქალბატონი მერსედეს ვერა მარტინის ხელმძღვანელობით მოლაპარაკებები გამართა საქართველოს ხელისუფლებასთან საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის მეშვიდე მიმოხილვის შესასრულებლად.

მისიის დასასრულს ქალბატონმა ვერა მარტინმა განაცხადა შემდეგი:

„პროდუქტიული დისკუსიის შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ და სსფ-ს მისიამ მიაღწიეს შეთანხმებას გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის მეშვიდე მიმოხილვის დასრულების თაობაზე. 2020 წლის პირველ ნახევარში პროგრამით გათვლისწინებული პირობები დაკმაყოფილებულია. მისიის დონეზე მიღწეულ ეს შეთანხმება სსფ-ს ხელმძღვანელობამ და აღმასრულებელმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს. საკითხის განხილვა მოსალოდნელია 2020 წლის დეკემბერში. მეშვიდე მიმოხილვის დასრულების შემდეგ საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება 79 მილიონი ესდევრი (დაახლოებით 112.1 მილიონი აშშ დოლარი). ამ თანხის ჩამორიცხვის შემდეგ, საქართველოში „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში ჩამორიცხული მთლიანი თანხა 406 მილიონ ესდევრს, ანუ (დაახლოებით 576.4 მილიონ აშშ დოლარს) გაუტოლდება.

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. შოკის შედეგად 2020 წელს მოსალოდნელია რეალური მშპ-ს 5-პროცენტული კლება, რაც 1 პროცენტული პუნქტით მეტია მეექვსე მიმოხილვის დროინდელ პროგნოზთან შედარებით და გამოწვეულია ეკონომიკის ჩაკეტვის უფრო უარყოფითი ეფექტით და გახანგრძლივებული შოკით. 2020 წლის ბოლოს ინფლაცია 3.5 პროცენტზე არის პროგნოზირებული, რამდენადაც ეკონომიკის ჩაკეტვის განმავლობაში არსებული მაღალი საკვების ფასები მთლიანად დააკომპენსირა ინფლაციის კლებამ ეკონომიკის გახსნის შემდეგ. საგარეო პოზიცია გაუარესებულია, რადგან ტურიზმიდან შემოსავლები, ფაქტობრივად, გაქრა. მოსალოდნელია, რომ 2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-ს 9.7 პროცენტამდე გაღრმავდება, მაშინ როცა 2019 წელს იგივე მაჩვენებელი 5.1 პროცენტი იყო. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მაღალმა გზავნილებმა და შედარებით დაბალმა იმპორტმა შეამცირა საქართველოს საგარეო ფინანსების საჭიროება, ხოლო მთლიანი საგარეო რეზერვები კვლავაც კომფორტულ დონეზე ნარჩუნდება, რაც სსფ-ს მიერ პროგრამის ფარგლებში საქართველოსთვის ხელმისაწვდომი თანხის გაზრდისა და დონორების დაფინანსების შედეგია. დაბალი საგადასახადო შემოსავლებისა და შოკის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად გათვალისწინებული ფისკალური დახმარებების შედეგად მოსალოდნელია ფისკალური დეფიციტის ზრდა. წინასწარი მონაცემები ივნისში შიდა მოთხოვნის აღდგენის დაწყებას მიანიშნებს. კერძო სექტორის დაკრედიტების ტემპი მაღალი დარჩა, რაც ნაწილობრივ მთავრობის მიერ ლარით გაცემული იპოთეკური სესხების სუბსიდირებამაც წახალისა. სუსტმა მოთხოვნამ და ეკონომიკის გახსნის შემდგომ მიწოდების აღდგენამ ბოლო პერიოდში ინფლაციაზე დადამავალი ზეწოლა იქონია.

2021 წელს, პანდემიის ეფექტის გაღვევის ფონზე, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა განახლდება და 4.3 პროცენტს მიაღწევს; თუმცა ამ პროგნოზს მნიშვნელოვანი დადამავალი რისკები ახლავს. 'მსოფლიოს ეკონომიკის პერსპექტივის (WEO)' ოქტომბრის ანგარიშში გაჟღერებული 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზის (5 პროცენტი) გადახედვა გამოწვეულია იმ გაურკვევლობით, რაც დაკავშირებულია რეგიონში მიმდინარე კონფლიქტთან და საქართველოში ინფიცირების შემთხვევების ზრდასთან. ინფლაცია სამიხნე 3 პროცენტის მაჩვენებელს 2021 წლის ბოლოს მიუახლოვდება. საშუალო ვადაში ეკონომიკის ზრდის პროგნოზი უცვლელია და 5% პროცენტს შეადგენს. ზრდას ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯები და მდგრადი სტრუქტურული რეფორმები, რაც, თავის მხრივ, პროდუქტიულობას გაზრდის და კერძო სექტორით განპირობებულ ზრდას შეუწყობს ხელს. მაკროეკონომიკური პოლიტიკის დისციპლინით და დონორების მხარდაჭერით საშუალოვადიან პერიოდში რეზერვები ადეკვატურ დონეზე შენარჩუნდება. მოსალოდნელია, რომ ტურიზმის შოკი დიდხანს გასტანს და 2019 წლის დონეს ტურიზმის შემოსავლები მხოლოდ 2024 წელს დაუბრუნდება. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პროგნოზი 2025 წლისთვის მშპ-ს 5.5 პროცენტია, რაც ძირითადად უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით დაფინანსდება. დადამავალი რისკების მატერიალიზების შემთხვევაში დამატებითი ეკონომიკური ზიანის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლება მის ხელთ არსებულ პოლიტიკის ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს.

რეალურ ეკონომიკასა და საფინანსო სექტორზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) გადამწყვეტი ზომები მიიღო. ცენტრალურმა ბანკმა ბაზარს ლარისა და დოლარის ლიკვიდობა მიაწოდა და ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით ხელმისაწვდომი გახადა ლარის გრძელვადიანი ლიკვიდობა. ჩვენ მივესალმებით ხელისუფლების ერთგულებას ინფლაციის თარგეთირების ჩარჩოს და მცურავი გაცვლითი კურსის მიმართ. 2020 წლის აპრილიდან დაწყებული, ეროვნულმა

ბანკმა პოლიტიკის განაკვეთი ჯამურად 100 საბაზისო პუნქტით შეამცირა და ინფლაციური მოლოდინების ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელთან სიახლოვეს მყარად მოსათოკად აგვისტოს შემდეგ პოლიტიკის განაკვეთს მართებულად უცვლელად ინარჩუნებს. სსფ მხარს უჭერს მონეტარული პოლიტიკის ამჟამინდელ მდგომარეობას, რაც მანამ უნდა შენარჩუნდეს, სანამ იმის მკაფიო ნიშნები არ გამოჩნდება, რომ ბოლოხანს ლარის გაუფასურების მიუხედავად, ინფლაცია დადმავალ ტენდენციას ინარჩუნებს. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი კურსზე დაწოლა ინფლაციურ მოლოდინებში გადაიზრდება, ინფლაციური მოლოდინის მოსათოკად შესაძლოა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება გახდეს საჭირო.

პანდემიის პირობებში ბანკები მდგრადობას ინარჩუნებენ, რაც კაპიტალისა და ლიკვიდურობის ძლიერმა სასტარტო პოზიციებმა და კრიზისზე ეროვნული ბანკის ძლიერმა რეაგირებამ განაპირობა. სსფ-ს გუნდი მიესალმება ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებთან კოორდინაციაში აქტივების ხარისხზე პანდემიის გავლენის პროაქტიულ მონიტორინგს და ბანკების რეზოლუციის ჩარჩოს დასაწერად მუშაობის გაგრძელებას.

მიმდინარე წელს ფისკალური პოზიციის შერბილებამ მართებულად შეუწყო ხელი ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების დაცვას. დაბალი შემოსავლების მიუხედავად, მთავრობამ გააფართოვა ხარჯვა კრიზისის ეკონომიკური და სოციალური გავლენის შესამცირებლად. ღონისძიებებმა, როგორცაა სახელფასო სუბსიდიები, ფულადი ტრანსფერები შინამეურნეობებისთვის, მათ შორის არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთათვის, გაფართოებული სოციალური ტრანსფერები და ბიზნესისთვის დროებითი საგადასახადო შეღავათები, ხელი შეუწყო ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებას. ბიუჯეტის თანაბარზომიერმა შესრულებამ ხელი შეუწყო სახელმწიფო ინვესტიციების და დღგ-ს დაბრუნების დაჩქარებას. შედეგად, 2020 წელს ფისკალური დეფიციტი მშპ-ს 8.7 პროცენტზეა პროგნოზირებული. 2021 წლის ბიუჯეტი მართებულად აგრძელებს ეკონომიკური აქტივობის სათანადო მხარდაჭერას და, ამასთან, ფისკალური კონსოლიდაციის საფუძველს ქმნის. 2021 დეფიციტი, რომელიც მშპ-ს 7.6 პროცენტზეა გათვლილი, ითვალისწინებს ჯანდაცვის მაღალ ხარჯებს და შინამეურნეობებისა და ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებებს, რაც მომატებული გაურკვევლობის ფონზე ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღების გამტკიცებას. სსფ-ს მისია მიესალმება ხელისუფლების განზრახვას შეინარჩუნოს ფისკალური მდგრადობა საშუალოვადიან პერიოდში, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს „ფისკალურ წესში“, რომლის მიხედვითაც 2023 წლისთვის ფისკალური დეფიციტი მშპ-ს 3 პროცენტს და სახელმწიფო ვალი მშპ-ს 60 პროცენტს უნდა შეადგენდეს. ხელისუფლება აგრძელებს ენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებებთან და სახელმწიფო საწარმოების (SOE) საქმიანობასთან დაკავშირებული ფისკალური რისკების პროაქტიულ კონტროლს.

სტრუქტურული რეფორმების შემდგომი განხორციელება უნმიშვნელოვანესია პანდემიის შემდგომ ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის და კრიზისის ეკონომიკაზე გავლენის შესამცირებლად; ასევე ძლიერი, მდგრადი და მეტად ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად, რაც საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონეს გაზრდის. დაკავშირებულობის ზრდა, ფინანსებზე წვდომის ხელშეწყობა, განათლების რეფორმის აჩქარება და ახლახან დამტკიცებული კორპორატიული გადახდისუნარიანობის ჩარჩოს განხორციელება საქართველოს კონკურენტუნარიანობას გაზრდის. მისია ასევე მხარს უჭერს ხელისუფლების გეგმებს სახელმწიფო საწარმოების რეფორმირების შესახებ, რაც საჯარო სექტორისთვის უფრო ეფექტურ პირობებს შექმნის და ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გუნდს სურს თანადგომა გამოუცხადოს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელთაც ჯანმრთელობის კრიზისი შეეხო; ასევე მათ, ვინც, საზოგადოების ყველა დონეზე, თანამოქალაქეების დასახმარებლად და კრიზისის შედეგებთან გასამკლავებლად, დაულალავად მუშაობდა. სსფ-ს მისია მადლობას უხდის ქვეყნის ხელისუფლებას, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებს და კერძო სექტორის წარმომადგენლებს გახსნილი და კონსტრუქციული განხილვებისთვის.